განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ბ10-21, 14.07.2021

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №18, 16.07.2021

ბოლო ცვლილებები განხილულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე:

ოქმი №ს17-24, 06.11.2024

დამტკიცებულია მმართველი საბჭოს გადაწვეტილებით:

დადგენილება №27, 08.11.2024

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

განათლების საფეხური: მაგისტრატურა (უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური, ძირითადი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი: 0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ადმინისტრირების მაგისტრი / Master of Education Administration

სწავლის ხანგრძლივობა: 2 წელი (4 სემესტრი)

საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა: 120 კრედიტი (ECTS)

პროგრამის ხელმძღვანელი: ხატია ცირამუა, მობ.: (+995) 599 694 555, ელ.ფოსტა: khatia.tsiramua@eu.edu.ge

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ან შიდა/გარე მობილობის საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

ევროპის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერ-სიტეტო გამოცდა სპეციალობასა და ინგლისურ ენაში:

შიდასაუნივერსტეტო გამოცდის საკითხები და გამოსაცდელ პირთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.eu.edu.ge) გამოცდის დაწყებამდე არანაკლებ სამი თვით ადრე.

სავალდებულოა ინგლისური ენის გამოცდის შედეგად დადასტურდეს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ინგლისური ენის ცოდნის დონის დადგენა ხორციელდება „ევროპის უნივერსიტეტის

სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 14 სექტემბრის №247 ბრძანებით) შესაბამისად.

B2 დონის დადასტურება შესაძლებელია ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტით: IELTS exam – 5.5; BEC exam and CELS exam – Vantage; Cambridge exam – FCE; TOEIC – 785; TOEFL iBT – 72; TOEFL ITP – 543; EnglishScore – 400.

ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დასტურად შეიძლება ჩაითვალოს კანდიდატის მიერ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება (საქართველოში ან საზღვარგარეთ). სავალდებულოა ზემოაღნიშნულის დოკუმენტურად დადასტურება.

პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლებას მოპოვებენ:

პირები, რომლებსაც „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანების საფუძველზე უფლება აქვთ ჩაირიცხონ უნივერსიტეტში საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაადასტურონ ქართული ენის B2 დონეზე ფლობა „ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტის ენობრივი კომპეტენციის დადგენის წესის“ შესაბამისად. პროგრამაზე საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული პირები არ თავისუფლდებიან შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებისგან (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში-B2 დონე).

პროგრამაზე ასევე დაიშვებიან:

,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების შესაბამისად მობილობის წესით ჩარიცხული სტუდენტები.

პროგრამის აქტუალობა

საქართველო დღეს დგას უმნიშვნელოვანესი გამოწვევის წინაშე - უზრუნველყოს სახელმწიფოს გაძლიერება, ეკონომიკური ზრდა და განვითარება, პოლიტიკური სტაბილურობა, ევროინტეგრაცია და წამყვანი დასავლური ქვეყნების რიგში თანაბარუფლებიანი და თანასწორი პარტნიორის სტატუსის მიღწევა. ამ მისწრაფებისაკენ მიმავალ გზაზე კი განთლებას საკვანძო როლი ენიჭება, რადგან ყველა წამყვანი ქვეყნისათვის წარმატების საწინდარი ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოებაა. ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოება (რომლის შემადგენელი კომპონენტიც არის ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა) განათლებას განიხილავს ორ ჭრილში: 1) განათლება, როგორც წარმოებისა და ბიზნეს/მომსახურების პროცესების გაუმჯობესების საშუალება და შესაბამისად, ეროვნული შემოსავლების გაზრდის შესაძლებლობა, და 2) განათლება, როგორც სერვისი, რომელიც თავისთავად წარმოადგენს ინტელექტუალურ პროდუქტს და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. განათლების სფეროში ჩატარებული მრავალი კვლევა ადასტურებს განათლების მნიშვნელოვან გავლენას ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებაზე. ასევე, სწორედ განათლების სისტემის წარმატებით ფორმირებას უკავშირდება ევროპული ქვეყნების სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბება. შესაბამისად, ეს ორივე ასპექტი მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც

ცდილობს ა) ძლიერი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნას და ბ) ეკონომიკურ განვითარებას. განათლების სფეროსთვის პრიორიტეტული როლის მინიჭება და სისტემის გაჯანსაღება მრავალჯერ დაისახა საქართველოს მთავრობის მთავარ ამოცანად. აქედან გამომდინარე, აუცილებელია განათლების სფეროს სპეციალისტების მომზადება, კონკრეტულად კი, საგანმანათლებლო დაწესებულებების ლიდერების, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სისტემის გაჯანსაღებაში. თუკი გავითვალისწინებთ საქართველოში სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობას, ლოგიკურია, რომ დიდია მოთხოვნა ამ ტიპის დაწესებულებებში ზედა თუ საშუალო რგოლის მენეჯმენტში განათლების ადმინისტრირების სპეციალისტებზე.

პროგრამის მიზანი

განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი და შესაბამისად, პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს მრავალ ფაქტორს: ევროპის უნივერსიტეტის მისიას, ფაკულტეტის მიზნებსა და ამოცანებს, განათლების დარგის სპეციფიკას როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კონტექსტში, ქართული და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის ტენდენციებს განათლების სფეროში. ამდენად, პროგრამის მიზანია თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად მოამზადოს განათლების ადმინისტრირების სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ფლობს:

1. განათლების ლიდერობის, მართვის/მენეჯმენტისა და ადმინისტრირების თეორიებისა და მათი პრაქტიკაში განხორციელების თავისებურების, ასევე, განათლების სფეროს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდების, სასკოლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საკანონმდებლო ბაზის, განათლების როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო კონტექსტისა და ტენდენციების ღრმა და სისტემურ ცოდნას, რაც აუცილებელია განათლების სფეროს ლიდერისათვის განათლების სისტემისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ეფექტიანად სამართავად.
2. პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სასაწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის პროცესისათვის აუცილებელი საკითხების ანალიზის, სფეროსა და დარგის მნიშვნელოვანი საკითხვების კვლევისა და ინფორმაციის ანალიზზე დაფუძნებულ დასკვნებზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღების და გამოწვევების დაძლევის უნარს.
3. განათლების სფეროს ღირებულებების, პროფესიული ეთიკის და საკუთარი თავის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის გაცნობიერების უნარს.

შესაბამისად, კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი იქნება ადგილობრივ და საერთშორისო დასაქმების ბაზარზე და ექნება უნარი წვლილი შეიტანოს როგორც სფეროს განვითარებაში, ისე საქართველოს ეროვნული-სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელების ხელშეწყობაში.

სწავლის შედეგები

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე დონეს (უმაღლესი განათლების მეორე საფეხური - მაგისტრატურა) და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:

პროგრამის სწავლის შედეგები	**სწავლის შედეგების აღწერილობა**
ცოდნა და გაცნობიერება:	***სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს განათლების ადმინისტრირების სფეროს სიღრმისეული და სისტემური ცოდნა და უნარები, რომლის საფუძველზეც:***
1	ასახელებს, განმარტავს და სიღრმისეულად აღწერს განათლების ლიდერობის, ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის, განათლების (სწავლება-სწავლის, პედოგოგიკის, დიდაქტიკის) ძირითად თეორიებს, მიმართულებებსა და პრაქტიკას.
2	სიღრმისეულად აღწერს საქართველოს განათლების სისტემას (სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი) და შესაბამისი საფეხურის საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით განმარტავს მართვის სპეციფიკის მნიშვნელოვან საკითხებს.
3	გამოკვეთს და ახდენს იმ საკითხების კლასიფიცირებას, რაც ადმინისტრირების თვალსაზრისით ერთმანეთისაგან განასხვავებს სასკოლო, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
4	სიღრმისეულად აღწერს და დეტალურად განმარტავს სწავლება-სწავლის ძირითად თეორიებსა და განათლების სფეროს ღირებულებებს, რაც განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სპეციფიკას და რისი გათვალისწინებაც აუცილებელია მართვისა და ადმინისტრირების პროცესში, საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების მიზნით.
უნარი	***სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში განვითარებული უნარების საფუძველზე კურსდამთავრებული:***
5	საკანონმდებლო ბაზის, სწავლება-სწავლის თეორიებისა და სფეროს სპეციფიკის ცოდნის გამოყენებით კომპლექსურად აანალიზებს განათლების სისტემას ან დაწესებულებას, გამოავლენს არსებულ მარტივ თუ კომპლექსურ პრობლემას და თანმიმდევრულად შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის გზებს სახელმწიფოებრივი ინტერესების, საზოგადოების ღირებულებებისა და მოთხოვნების და დღევანდელი საგანმანათლებლო სტანდარტებისა და მიზნების შესაბამისად.
6	აანალიზებს კონკრეტულ საგანმანათლებლო კონტექსტს და ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავებს მართვის ეფექტიან სტილს და გეგმავს მოქმედების თანმიმდევრულ სტრატეგიას.
7	პროფესიული ეთიკისა და თანამედროვე ღირებულებების შესაბამისად დეტალურად გეგმავს კვლევას საგანამანათლებლო სფეროს მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის მიზნით და თანმიმდევრულად, დამოუკიდებლად ახორციელებს მას აკადემიური სტანდარტების დაცვითა და კომპლექსური მიდგომებით. კვლევის შედეგებს წარადგენს აკადემიური, პროფესიული თუ სხვა დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე.
ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა	***სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების საფუძველზე კურსდამთავრებული:***

8	საგანმანათლებლო კონტექსტში მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლის, კვლევისა და ანალიზის პროცესში აღიარებს და ითვალისწინებს აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, ასევე, პროფესიულ ეთიკურ ნორმებსა და ღირებულებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან (იხ. პროგრამის **დანართი 1** – პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა).

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით უზრუნველყოფილია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა (იხ. პროგრამის **დანართი 2** - პროგრამის სწავლის შედეგების რუკა).

სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები

განათლების ადმინისტირირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოიყენება სწავლება-სწავლის ისეთი მეთოდები და აქტივოებები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით დადგენილი ცოდნისა და უნარების მიღწევას და შესაბამისი კომპეტენციების განვითარებას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის სწავლება-სწავლის მეთოდები შერჩეულია შესაბამისი შესასწავლი მასალის შინაარსისა და მისაღწევი სწავლის შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო კურსის სილაბუსი იძლევა დეტალურ ინფორმაციას გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდების და აქტივობების შესახებ.

პროგრამით შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ყოველი ახალი თემა იწყება **ლექციით,** ხოლო **სამუშაო ჯგუფში მუშაობა** ახალი მასალის სათანადოდ გააზრებასა და ცოდნის განმტკიცებაზეა ორიენტირებული. ლექციაზე მოსმენილი მასალა მთლიანი ცოდნის სისტემად ყალიბდება **სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობით,** რომლის მიზანია: სტუდენტს აღუძრას წიგნისადმი და სხვა საინფორმაციო წყაროებისადმი ინტერესი, პრობლემური საკითხების დამოუკიდებლად კვლევისა და სიღრმისეულად შესწავლის სურვილი (რაც დამოუკიდებელი აზროვნების, კვლევის, კრიტიკული ანალიზისა და დასკვნების გაკეთების სტიმულირების საშუალებაა); ასევე, განუვითაროს პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სასწავლო კურსების სილაბუსებით გასავლელი თემების/ცალკეული საკითხების გარშემო ინფორმაციის დამოუკიდებლად (სასწავლო კურსის ხელმძღვანელის ჩართულობის გარეშე) მოძიება-დამუშავების, დავალების შესრულებისათვის რესურსების განსაზღვრის, საკუთარი აკადემიური შესაძლებლობის შეფასების და ცოდნის განმტკიცებისათვის სწავლის მეთოდის/სტრატეგიის შერჩევის (სწავლის) უნარ-ჩვევები. დამოუკიდებელი მუშაობა მოიცავს სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის ათვისებისათვის დახარჯული სამუშაო დროის რაოდენობას. და-მოუკიდებელ საათებში მითითებულია დრო, რომელიც შეიძლება დასჭირდეს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტს სასწავლო მასალის დამოუკიდებელი მუშაობით ათვისებისა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში გამოყენებულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები და აქტივობები:

ლექცია - შემოქმედებითი პროცესი, რომელშიც ლექტორიც და სტუდენტიც ერთდროულად მონაწილეობენ. ლექციის მთავარი მიზანია შემოთავაზებული მასალის ძირითადი არსის შემოქმედებითი და აქტიური გადაცემა. ამასთანავე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ძირითად ცნებებს, მათ განმარტებებს, მითითებებსა და ვარაუდებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ასევე უმთავრესი საკითხების, ფაქტებისა და იდეების კრიტიკული ანალიზი. ლექცია გულისხმობს საგნის ძირითადი

დებულებების და სასწავლო მასალის თანმიმდევრულად გადმოცემას. ლექცია მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

- **ახსნა-განმარტება** – აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც ლექტორი ხსნის კონკრეტული თემის საკვანძო საკითხებს, განმარტავს მათ მაგალითებით და პასუხობს გაჩენილ კითხვებს. ლექციის ფარგლებში ახსნა-განმარტების გზით ლექტორი უადვილებს სტუდენტებს დამოუკიდებლად დასამუშავებელი მასალის გაგება-გააზრებას.

- **ინტერაქტიული მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექციის ფარგლებში თემის დამუშავებას სტუდენტებთან აქტიური დიალოგის ფორმატში. ინტერაქტიული მუშაობა იძლევა სტუდენტთა ყურადღების მიპყრობისა და შენარჩუნების, ისევე როგორც ლექციის მსვლელობისას მიწოდებული ახალი ინფორმაციის გააზრების დონის განსაზღვრის საშუალებას.

- **აუდიო-ვიზუალური მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექციის ფარგლებში სტუდენტებისთვის მასალის აუდიო და/ან ვიზუალური გზით მიწოდებას ისეთი ელექტრონული და/ან მატერიალური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა სლაიდები, ვიდეო რგოლები, აუდიო ჩანაწერები, ფოტოები და სხვა. პრეზენტაციისას სტუდენტებში ერთდროულად აქტიურდება სმენითი და მხედველობითი შეგრძნებები, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის დამახსოვრების მაღალ ხარისხს.

- **დემონსტრირება** – აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს სწავლებას კეთებით, რა დროსაც ლექტორი დამკვირვებლების რეჟიმში მყოფ სტუდენტებს აჩვენებს, თუ როგორ უნდა შესრულდეს კონკრეტული თეორიული ან პრაქტიკული დავალება. დემონსტრირების მიზანია თვალსაჩინო გახდეს სასწავლო მასალის სხვადასხვა შემადგენელი და დაკონკრეტდეს, რისი გაკეთება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებელი მუშაობისას.

სამუშაო ჯგუფში მუშაობა - სამუშაო ჯგუფში მუშაობის მეთოდი აერთიანებს სწავლების ყველა იმ აქტივობას, რომელიც სტუდენტს კოგნიტურთან ერთად პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. სტუდენტების ინდივიდუალური/ჯგუფური მუშაობა წარიმართება სასწავლო კურსების სილაბუსებში კონკრეტული თემატიკის დაუფლების მიზნით გაწერილი სასწავლო აქტივობების (სასემინარო თემის მომზადება; დისკუსიის, დებატების, სიმულაციური თამაშების გამართვა; ქეისების, პრობლემური სიტუაციების განხილვა; პრაქტიკული დავალებების/სავარჯიშოების ინდივიდუალური/ჯგუფში შესრულება; საშინაო დავალების განხილვა და სხვა) გამოყენებით. ამ მეთოდის მიზანია სტუდენტებს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გარშემო ცოდნის გაღრმავება-დაკონკრეტების საშუალება, ხელი შეუწყოს პრაქტიკული ხასიათის აქტივობების განხორციელებით სტუდენტთა ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას. სამუშაო ჯგუფში მუშაობა გულისხმობს შემდეგ აქტივობებს:

- **გონებრივი იერიში (Brainstorming)** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ კონკრეტული საკითხის შესახებ სტუდენტებისგან მოკლე დროში მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის შეგროვებას, კატეგორიზაციას და ერთმანეთთან დაკავშირებას. გონებრივი იერიშის შედეგების უკეთესი ვიზუალიზაციისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს მენტალური რუკაც.

- **დისკუსია/დებატები** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტები განიხილავენ ლექტორის მიერ წამოჭრილ პრობლემას/თემას/საკითხს და ცვლიან აზრებს. დისკუსია ემსახურება ლექციის და დამოუკიდებელი მუშაობის შედეგად შეძენილი ცოდნის გაღრმავება-განმტკიცების

მიზანს, და ამასთან უვითარებს სტუდენტებს საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების, მსჯელობისა და არგუმენტირების უნარებს. დისკუსია შეიძლება გადაიზარდოს დებატებშიც, რა შემთხვევაშიც ხდება შეხედულებათა შეპირისპირება, სტუდენტები სვამენ კრიტიკულ კითხვებს და მიმართავენ დარწმუნების ხერხებს.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - აკადემიური აქტივობა, რომელიც ამოსავალ წერტილად იღებს პრობლემას. სტუდენტები ცდილობენ ლექტორის მიერ წამოჭრილი პრობლემის გაგება-გააზრებას და ეძებენ მისი მოგვარების საუკეთესო გზას, რა დროსაც აქტუალური საჭიროებების საფუძველზე იძენენ ახალ ცოდნას და გამოიმუშავებენ პრობლემების გადაჭრის უნარს. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მიმდინარეობს ღია და მხარდამჭერ გარემოში, სადაც ლექტორი ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ პროცესის ფასილიტატორის როლს.

- **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ აქტივობის გამოყენებით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა მცირე ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. მცირე ჯგუფებად დაყოფილ სტუდენტებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეძლევა რაიმე სასწავლო დავალება (სიტუაციის ანალიზი; გეგმის/სტრატეგიის შეფასება; პროექტის ან/და დოკუმენტის მონახაზის შექმნა; პრობლემის იდენტიფიცირება და გადაწყვეტა და სხვა), რომლის შესასრულებლად ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში და ხელს უწყობს გუნდში მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, ეხმარება სტუდენტს საკუთარი აზრის არგუმენტირების, სხვისი აზრის მოსმენის, შეზღუდულ დროში სწრაფი ანალიზის უნარის გამომუშავებაში. ამდენად, სამუშაო ჯგუფში მუშაობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავებას და დაკონკრეტებას, საკითხების სისტემურ და კომპლექსურ გააზრებას, სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით სტუდენტთა ცოდნის განმტკიცებას და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების განვითარებას.

- **სავარჯიშოებზე მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს ლექტორის ზედამხედველობისა და შემდგომი უკუკავშირის ფორმატში, სტუდენტების მიერ დროის დათქმულ მონაკვეთში სავარჯიშოების დამოუკიდებლად შესრულებას თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და მისი პრაქტიკულად გამოყენების უნარის განვითარების მიზნით.

- **შემთხვევის შესწავლა (Case Study)** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტები ახორციელებენ ისეთი შემთხვევის (ქეისის) ანალიზს, რომელიც დამახასიათებელი ან განსაკუთრებულია/გამონაკლისია კონკრეტული დარგისთვის. ანალიზი გულისხმობს შემთხვევის ყოველმხრივ განხილვას, მის ცალკეულ ასპექტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, მათ ახსნასა და ინტერპრეტირებას. შემთხვევის შესწავლის გზით სტუდენტებს უვითარდებათ ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების, ასევე დასკვნის გაკეთების უნარი.

- **კაზუსის ამოხსნა** - აკადემიური აქტივობა, რომელიც გულისხმობს შემთხვევის შესწავლას სამართლებრივი ურთიერთობების პრაქტიკიდან (კაზუსის გარდა, ეს მეთოდი შეიძლება გულისხმობდეს კონკრეტული სამართლებრივი აქტებისა თუ სამართლებრივი ნორმების შესწავლას). სამართლის დარგში, ქეისებს აქვთ კაზუსის სახე და მათი ამოხსნა გულისხმობს დასმული სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზების პოვნას. კაზუსის ამოხსნა სტუდენტებში

ავითარებს ლოგიკური მსჯელობის, არგუმენტაციის და დასაბუთებული დასკვნების გაკეთების უნარებს.

- **სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა** - აკადემიური აქტივობა, რომლის დროსაც სტუდენტები რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებულ (სიმულაციურ) სიტუაციაში ლექტორის მიერ მინიჭებული როლების შესაბამისად წყვეტენ დასმულ ამოცანებს. სიტუაციურ ამოცანებზე მუშაობა არის პრაქტიკული ტრენინგი, რომელიც სტუდენტებს გამოუმუშავებს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების, ისევე როგორც ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარებს. ჯგუფური და სტანდარტიზებული სიმულაციის შემთხვევაში, სიტუაციური ამოცანა იღებს როლური თამაშის ფორმას, რაც დამატებით სტუდენტებს აძლევს საშუალებას საკითხს/პრობლემას მრავალმხრივი პერსპექტივიდან ეზიარონ.

- **დავალებაზე დაფუძნებული სწავლება (Task-Based Learning - TBL**) - ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი აქტივობაა და მნიშვნელოვან როლს ასრულებს პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი შედეგების მიღწევაში. დავალებაზე / ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის პროცესში სწავლება მიმდინარეობს სტუდენტებისათვის სხვადასხვა სასწავლო დავალებების (რომელიც შეიძლება მიწოდებული იყოს: კონკრეტული სიტუაციის, სავარჯიშოს, პრაქტიკული დავალების ან რაიმე სხვა სახით) და მათი შესრულების ინსტრუქციების კომბინირებით. სწავლების პროცესში ამ აქტივობის გამოყენებისას ლექტორის ამოცანაა - სწავლის ხელშეწყობა დავალებების მომზადება-შეფასების გზით; ხოლო, სტუდენტის წინაშე დასახულია კონკრეტული დავალება/ამოცანა, რომელიც უნდა გადაიჭრას განსაზღვრული ინსტრუქციის შესაბამისად. აქტივობა ხელს უწყობს სტუდენტის მიერ კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებით თეორიული მასალის თანდათანობით შესწავლას, თეორიული მასალის დამოუკიდებლად გამოყენების ჩვევების გამომუშავებას, საბოლოო ჯამში კი, მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში რაოდენობრივი მეთოდების ან/და კონკრეტული მოდელების/ინსტრუმენტების/ტექნიკების გამოყენების უნარ-ჩვევების განმტკიცებას.

- **წიგნზე (წყაროზე) მუშაობა** და **წერითი მუშაობა** - გამოიყენება სტუდენტის კოგნიტური უნარების (ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, წაკითხულის გააზრება, წერითი კომუნიკაცია), აგრეთვე, დამოუკიდებელი მუშაობის უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობის მიზნით. წიგნზე მუშაობა გამოიყენება უპირატესად სტუდენტის მიერ ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურის დამოუკიდებლად გაცნობის, შესაბამისი მასალის შესწავლის, მიცემული საკითების დამუშავებისა და ანალიზისათვის. აღნიშნული საჭიროა სხვადასხვა სახის საშინაო დავალების: საპრეზენტაციო მოხსენებების, დებატების, დისკუსიების, რეფერატის მოსამზადებლად და ეხმარება სტუდენტს მასალის ათვისებაში, გამოუმუშავებს რელევანტური ლიტერატურის, საინფორმაციო წყაროების, საკანონმდებლო და სხვა მასალის დამოუკიდებლად მოძიება-დამუშავებისა და დასკვნის გაკეთების უნარ-ჩვევებს. წერითი მუშაობა გულისხმობს ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთებას, მასალის დაკონსპექტებას, თეზისების შედგენას, რეფერატის ან ესეს შესრულებას, სიტუაციის წერილობით ანალიზს, ანგარიშის ან/და სხვა წერილობითი დოკუმენტის მომზადებას, და სხვა. პროგრამის განხორციელების პროცესში, წერითი მუშაობა გამოიყენება უპირატესად წაკითხული ლიტერატურის დ/ან საინფორმაციო წყაროდან/აუდიო-ვიზუალური მასალიდან მთავარი ამონარიდის გაკეთებისას, თეზისების შედგენის, ქეისის წერილობითი ანალიზისას, წერითი დავალებების/ამოცანების/ სავარჯიშოების შესრულების, ესეს ან რეფერატის შესრულებისას, სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას და სხვა.

- **ელექტრონული რესურსით სწავლება (E-learning)** – ამ აქტივობის გამოყენება ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესში, ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში, კონკრეტული სპეციფიკური თემების/საკითხების დაუფლების მიზნით ელექტრონული რესურსების გამოყენებას და სწავლებას ინტერნეტით, სხვადასხვა პროგრამული პროდუქტით და/ან მულტიმედიური საშუალებებით. ელექტრონული რესურსებით სწავლება სტუდენტს აძლევს დარგობრივი ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობას, უვითარებს ინფორმაციის დამოუკიდებლად დამუშავება-სისტემატიზების, გადაწყვეტილების მომზადება-მიღების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტიანად გამოყენების უნარ-ჩვევებს.
- **პრეზენტაცია** - ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი ეფექტური აქტივობაა, რომლის დროსაც სტუდენტები მოიძიებენ რელევანტურ მასალებს წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგენენ მას ჯგუფის წინაშე ტექნიკური საშუალებების / სადემონსტრაციო მასალების გამოყენებით. სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე, პრეზენტაცია შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფური მუშაობის შედეგად. პრეზენტაციის უმთავრესი მიზანია შერჩეული საკითხის დამუშავებისათვის საჭირო წყაროების მოძიება-დამუშავების ჩვევების გამომუშავება, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს/საკუთარი კვლევის შედეგების, არგუმენტირებული ორიგინალური დასკვნების / რეკომენდაციების სახით, ზეპირი ფორმით წარდგენისა და განხილვაში/დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევების განმტკიცება. წარმოდგენილი პრეზენტაცია მიგვითითებს სტუდენტ(ებ)ის მიერ განვლილი მასალის ცოდნასა და შეძენილ უნარებზე.
- **პროექტის მომზადება და/ან პროექტზე დაფუძნებული სწავლება (Project-Based Learning)** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ეფექტიანი მეთოდია, ის აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტების შემუშავება (ისევე, როგორც ზოგადად, ამ პროექტზე დაფუძნებული სწავლება) კონკრეტული სასწავლო პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტის მომზადება მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას (იხ. პროგრამის **დანართი 3** – სწავლებისა და სწავლის მეთოდების/აქტივობების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკა).

პროგრამის მოცულობა

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემის (ECTS) საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების მისაღწევად.

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს (4 სემესტრს) და მოიცავს 120 (ECTS) კრედიტს (3000 საათს ჯამში).

1 კრედიტი მოიცავს 25 ასტრონომიულ საათს; კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის შესაბამისი სასწავლო კურსის

ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს.

სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო აკადემიური წლის განმავლობაში - 60 კრედიტი, თუმცა, სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, კრედიტების რაოდენობა აკადემიური წლის განმავლობაში შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა.

უნივერსიტეტი უფლებამოსილია, საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში განახორციელოს სწავლება-სწავლის პროცესი არასრული დატვირთვით.

ერთი აკადემიური სასწავლო წელი მოიცავს 42 კვირას, ერთი სემესტრი 21 კვირას, მათ შორის 15 კვირა არის სასწავლო, დანარჩენი 6 კვირა კი სასესიო. მე-8 და მე-9 კვირა ეთმობა შუალედურ გამოცდას, მე–18 და მე–19 კვირა დასკვნითი გამოცდების პერიოდია, ხოლო მე–20 და 21-ე კვირა დამატებითი გამოცდების პერიოდი. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედია დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღე.

პროგრამის სტრუქტურა

განათლების ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსსა და სტრუქტურაში გათვალისწინებულია მრავალი ფაქტორი - ევროპის უნივერსიტეტის მისია, ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები, განათლების დარგის სპეციფიკა როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო კონტექსტში, ქართული და საერთაშორისო დასაქმების ბაზრის ტენდენციები განათლების სფეროში. ასევე, გათვალისწინებულია წამყვანი ქართული და რამდენიმე დასავლური უნივერსიტეტის მიერ მსგავსი პროგრამის განხორციელების გამოცდილებაც. ქართული რეალობისათვის პროგრამა ერთ-ერთი გამორჩეულია, რადგან იგი მოიცავს განათლების სამ დონეს - სასკოლო, პროფესიულსა და უმაღლესი განათლების სფეროებს.

უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციებისა და განათლების ადმინისტრირების მაგისტრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, მაგისტრის მომზადება მიმდინარეობს სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მეშვეობით. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, აქედან:

- **სასწავლო კომპონენტს** - 90 კრედიტის მოცულობით, მათ შორის:

  ა) ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტს - 75 კრედიტის მოცულობით (მათ შორის პრაქტიკის კომპონენტს ჯამში 6 კრედიტის მოცულობით);

  ბ) ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კომპონენტს - 10 კრედიტის მოცულობით;

  გ) თავისუფალ კომპონენტს, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აირჩიოს ნებისმიერო სასწავლო კურსი უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამიდან, სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების დაცვით - 5 კრედიტის მოცულობით.

- **კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომი)** - 30 კრედიტის მოცულობით.

პროგრამის ფარგლებში არჩევით კომპონენტებში მოიაზრება სფეროსთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებისკენ მიმართული სასწავლო კურსები, მათი არჩევა სტუდენტს შეუძლია საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმის არჩევით კომპონენტში შეთავაზებული სასწავლო

კურსებიდან (სულ 43 კრედიტის მოცულობით), საიდანაც მაგისტრანტს შეუძლია, საკუთარი სასწავლო/კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე ამოირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურსები - ჯამში 10 კრედიტის მოცულობით.

მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია პროგრამის კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები, კომპონენტების თანმიმდევრობა, კომპონენტების კრედიტების სემესტრული განაწილება, სტუდენტის სემესტრული დატვირთვა.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები, კომპონენტების კრედიტების მოცულობა, წინაპირობები და სემესტრების მიხედვით კომპონენტების განაწილება განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო გეგმით (იხ. **დანართი 5** - პროგრამის სასწავლო გეგმა).

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასების მეშვეობით განისაზღვრება სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამის კონკრეტულ შედეგებთან. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სტუდენტის ცოდნის შეფასება დაფუძნებულია კრიტერიუმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ფლობს თუ არა სტუდენტი სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

პროგრამის ფარგლებში გამოყენებული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებულ „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს“.

სწავლის შედეგების მიღწევა ფასდება შუალედური და დასკვნითი შეფასებებით, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური საბოლოო შეფასება შეადგენს 100 ქულას.

შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება. დამატებით გამოცდაზე გასვლის

უფლებას სტუდენტი იღებს იმ შემთხვევაშიც, თუ მან დააგროვა საბოლოო შეფასების 51 ქულა ან მეტი, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დამატებითი გამოცდა ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად. შუალედური შეფასების სავალდებულო კომპონენტია შუალედური გამოცდა, რომელიც ტარდება მე-8-9 კვირაში. შუალედური შეფასება გულისხმობს სამუშაო ჯგუფში მუშაობის დროს სტუდენტების მუშაობის პროცესის, შუალედური გამოცდის და სტუდენტის დამოუკიდებელი სამუშაოს ჯამურ შეფასებას, ხოლო დასკვნითი შეფასება - დასკვნითი გამოცდის შეფასებას. შუალედური და დასკვნითი შეფასებების მეთოდებს და მათ ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პერსონალი შესაბამისი სილაბუსის ფარგლებში. სილაბუსში ასევე განმარტებულია თითოეული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებიც.

დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდა ჩაითვლება ჩაბარებულად დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში.

შუალედური შეფასებისთვის და დასკვნითი გამოცდისთვის განსაზღვრულია შემდეგი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: შუალედური შეფასების 50%, დასკვნითი გამოცდის შეფასების 50%+1 ქულა.

კრედიტი ათვისებულად ჩაითვლება თუკი შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისთვის დადგენილი მინიმალური ზღვრების გადალახვის საფუძველზე სტუდენტის მიერ მიღებული ქულების ჯამი შეადგენს 51 ქულას ან მეტს.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით უფლებამოსილია სილაბუსით განსაზღვროს განსხვავებული (უფრო მაღალი) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად.

სასწავლო კურსის განმახორციელბელი პერსონალი, მიზნების, სწავლის შედეგების და სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ასევე უფლებამოსილია შეფასების მეთოდში/მეთოდებში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შეფასების მეთოდში/მეთოდებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარის არსებობის შემთხვევაში, კრედიტის მინიჭება შესაძლებელი იქნება თითოეულ შეფასების მეთოდში არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვის, თითოეულ შეფასების კომპონენტში (შუალედური და დასკვნითი შეფასება) არსებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გადალახვისა და შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულების დაჯამების შედეგად მინიმუმ 51 ქულის მიღების შემთხვევაში.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში ასახული შეფასების მეთოდების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისას გამოყენებულია შეფასების შემდეგი მეთოდები:

- **ზეპირი გამოკითხვა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მხრიდან ცალკეული სტუდენტებისთვის კითხვების დასმას ლექციის დროს ახსნილი და მათ მიერ დამოუკიდებლად დამუშავებული მასალის შესახებ მათი ცოდნის გამომჟღავნებისა და შეფასების მიზნით. ზეპირი გამოკითხვის შეფასებისას სტანდარტულად ექცევა ყურადღება სტუდენტის სისხარტეს, პასუხების ადეკვატურობა/რელევანტურობას, ფაქტების სიზუსტეს, გასაგებ ენაზე გადმოცემის უნარს, დამაჯერებლობას და სხვა.
- **ქვიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ლექტორის მიერ სტუდენტების წერილობით გამოკითხვას მოკლე ტესტის ფორმატში და შედგება დახურული ან/და ღია კითხვებისგან. ქვიზის მიზანია, შეამოწმოს სტუდენტების მიმდინარე ცოდნა და მისი შეფასების სტანდარტული კრიტერიუმია პასუხების სისწორე. ლექტორი სილაბუსით განსაზღვრავს ქვიზის შესრულებისთვის გამოყოფილ დროსა და თითოეული კითხვის წონას.
- **პრეზენტაცია** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის შეფასებას მის მიერ სასწავლო მასალის, რეფერატის ან ნაშრომის ჯგუფის წინაშე ვიზუალური საშუალებების თანხლებით წარდგენის ფონზე. პრეზენტაცია ამოწმებს სტუდენტის გადმოცემის მანერას, ტექნოლოგიებთან მუშაობის უნარს, პრეზენტაბელურობას, მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატურობას და სხვა.
- **დისკუსია/დებატები** - შეფასების მეთოდი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტები იხილავენ კონკრეტულ პრობლემას/თემას/საკითხს და ფასდებიან არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით ოპერირების, დასკვნის გაკეთების, თვითრეფლექსიის, ანალიტიკური უნარების და სხვა რელევანტური კრიტერიუმების მიხედვით.
- **შემთხვევის ანალიზი** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მიერ კონკრეტული დარგისთვის დამახასიათებელი ან პირიქით, გამონაკლისი შემთხვევის ანალიზს დროის დათქმულ მონაკვეთში. ქეისის საშუალებით ლექტორი ამოწმებს სტუდენტის კრიტიკული აზროვნების, დასკვნის გაკეთების და კომპლექსური საკითხის გაცნობიერების უნარებს, ასევე პროფესიულ-ეთიკულ ღირებულებებს და ამ ღირებულებებით ოპერირების უნარს.
- **კაზუსის ამოხსნა** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ სამართლებრივი ურთიერთობების პრაქტიკიდან პრობლემური შემთხვევის ანალიზსა და მისი გადაჭრის საუკეთესო გზის მოძიებას დროის დათქმულ მონაკვეთში. როგორც შეფასების მეთოდი, კაზუსი ამოწმებს სტუდენტების მიერ თეორიული მასალის ფართო ცოდნას, სამართლის ძირითადი ღირებულებების და პრინციპების გააზრებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარს.
- **ტესტი** (ღია, დახურული ან კომბინირებული) - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების მხრიდან ლექტორის ავტორობით შედგენილი წერილობითი კითხვების/დავალებების შესრულებას დროის განსაზვრულ, მცირე მონაკვეთში მათ მიერ განვლილი მასალის ცოდნის, თუ მათი კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნებისა და არგუმენტირების უნარის შემოწმების მიზნით. ტესტები, როგორც წესი, მოიცავს როგორც ღია, ისე დახურულ კითხვებს, და შესაძლოა, ტერმინის განმარტებასაც. კომბინირებული ტესტის შემთხვევაში, დამატებით გვხვდება ასევე თემა, ქეისი ან კაზუსიც. ღია ტესტი საჭიროებს ერთმნიშვნელოვან მოკლე პასუხს, რაც გამორიცხავს გამოცნობას, დახურულ კითხვებზე პასუხის გაცემისას სტუდენტებს არჩევანის გაკეთება უწევთ ალტერნატიულ ვერსიებს შორის, ხოლო თემა/ქეისი/კაზუსი ითხოვს შედარებით უფრო ღრმა და ვრცელ მსჯელობას.

- **ესსე** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს ესსეს დაწერას, სადაც ავტორი წარმოაჩენს საკუთარ პოზიციას/მოსაზრებას დასმული საკითხის გარშემო, ასევე, არგუმენტებს, რომელიც დაასაბუთებს წარმოდგენილი პოზიციის/მოსაზრების უპირატესობას. როგორც შეფასების მეთოდი, იგი ავლენს წერითი კომუნიკაციის, საკუთარი პოზიციის გამოკვეთისა და დასაბუთების, ფაქტის/ მოვლენის კომპაქტურად მიმოხილვის, განმარტების, არგუმენტების/კონტრარგუმენტების ჩამოყალიბების, დასკვნის გაკეთების უნარებს.
- **სავარჯიშო** - შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის მიერ ტექნიკური ან/და ქცევითი უნარების გამოვლენის ხარისხის შემოწმებას. შეფასება შეიძლება დამოკიდებული იყოს საბოლოო რეზულტატზე, მტკიცებულებაზე (პროდუქტი) ან აქტივობის შესრულების პროცესზე. დასაშვებია ორივე ვარიანტის კომბინაცია.
- **რეფერატი** - შეფასების მეთოდი, რომელიც მოითხოვს სტუდენტის მხრიდან წიგნების, სტატიების, სხვა სამეცნიერო ნაშრომების მიმოხილვას, კრიტიკულ ანალიზს, კომენტირებას და საკუთარი პოზიციის კონსტატაციას წერილობითი ფორმით. რეფერატის შეფასებისას ლექტორი ძირითადად ამოწმებს სტუდენტის უნარს, წეროს აკადემიურად, გაიაზროს სხვადასხვა ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრები, შეუპირისპიროს ისინი ერთმანეთს, მოახდინოს მათი ერთიან ტექსტად ფორმირება, იკვლიოს დამოუკიდებლად და გააკეთოს დასკვნები. ლექტორმა შეიძლება, მოითხოვოს რეფერატის წარდგენა აუდიტორიის წინაშე თვალსაჩინოებების გამოყენებით, რა შემთხვევაშიც პრეზენტაცია ექვემდებარება დამატებით შეფასებას.
- **პროექტი** - შეფასების მეთოდი, რომელიც ამოწმებს სტუდენტ(ებ)ის მხრიდან კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოების შედეგებს. პროექტი მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის (პრეზენტაციის) ეტაპებს და იგი შეიძლება, განხორციელდეს როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. როგორც წესი, პროექტის საკითხებს სტუდენტ(ებ)ი რამდენიმე კვირის განმავლობაში ამუშავებენ და შემდეგ წარუდგენენ ჯგუფს, თუმცა არსებობს მინი და შესაბამისად, ხანმოკლე დროში განხორციელებადი პროექტებიც. როგორც შეფასების მეთოდი, პროექტი ავლენს სტუნდეტის კვლევით, შემოქმედებით, და კომუნიკაციურ უნარ-ჩვევებს, ხოლო ჯგუფური მუშაობის შემთხვევაში - თანამშრომლობის უნარსაც.

პროგრამით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ცხრილი, სადაც აღწერილია თითოეული სწავლის შედეგის შეფასების ინდიკატორები, მითითეულია შეფასების დონეები და რუბრიკები, ასევე, განსაზღვრულია შედეგების შეფასების პერიოდულობა, წარმოდგენილია პროგრამის დანართის სახით (იხ. პროგრამის **დანართი 4** - პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლების დამამთავრებელი ეტაპია სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. სამაგისტრო ნაშრომის შესრულება, სხვა სასწავლო კურსებთან ერთად, უზრუნველყოფს ინდივიდუალური კვლევითი უნარების განვითარებას. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს, წარმოაჩენს სტუდენტის მიერ კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, სამეცნიერო ხასიათის ტექსტის მომზადების, გაფორმების, საჯაროდ წარდგენისა და დაცვის უნარებს.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესით“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 13 მარტის №61 ბრძანებით) დადგენილი ზოგადი მოთხოვნებისა და შესაბამისი პროგრამის სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების დაცვით. სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი ასრულებს ინდივიდუალურად, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მითითებების გათვალისწინებით. ნაშრომზე მუშობის პროცესი სტუდენტს ეხმარება დაეუფლოს დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევებს, სწორად წარმართოს სასწავლო (დარგობრივ) ლიტერატურაზე, სამეცნიერო-აკადემიურ და სხვა წყაროებზე მუშაობა, გაერკვეს დამოუკიდებელი მუშაობისას წამოჭრილ საკითხებში და გაიღრმავოს ცოდნა მისთვის საინტერესო/ნაკლებად ცნობილი საკითხების გარშემო.

სტუდენტის შეფასება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისთვის, ხორციელდება მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით (სამაგისტრო ნაშრომის დაცვა), შეფასებას ახორციელებს ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძვლეზე, ევროპის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისია. კომისიის მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების და შეფასების სხვა დეტალები გათვალისწინებულია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსით.

პროფესიული პრაქტიკის შეფასება

რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარ-ჩვევების განსავითარებლად და სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის კონკრეტულ სიტუაციაში გამოყენების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად მნიშვნელოვანია სტუდენტის ჩართვა პროფესიულ პრაქტიკაში. სწორედ ამ მიზნით განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტი გადის პროფესიულ პრაქტიკას ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (პრაქტიკის პერიოდი - 5 კვირა თითოეულში).

პროფესიული პრაქტიკა ხორციელდება ევროპის უნივერსიტეტში შემუშავებული „საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტის შესრულებისა და შეფასების წესით“ (დამტკიცებულია რექტორის 2020 წლის 27 ოქტომბრის №309 ბრძანებით) დადგენილი მოთხოვნებისა და პროფესიული პრაქტიკის სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. პრაქტიკის კომპონენტს განსაზღვრული ჰყავს ხელმძღვალი და მენტორი. პრაქტიკის ხელმძღვანელის მითითებით სტუდენტი ასრულებს პრაქტიკით დადგენილ დავალებებს, ხოლო პრაქტიკის ობიექტზე გამოყოფილია მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირი მენტორის სახით.

პრაქტიკის კომპონენტის შეფასება მოიცავს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს. შუალედური შეფასება გულისხმობს პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის შეფასებებს, დასკვნითი შეფასება კი - პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციას დაცვის კომისიის წინაშე. პრაქტიკის ანგარიშის დაცვა ფასდება შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით კომისიის თითოეული წევრის მიერ დაცვის დასრულებისთანავე, საბოლოო შეფასება გამოითვლება კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო ქულის დათვლით. პრაქტიკის ანგარიშის დაცვის შეფასების კრიტერიუმები, კრიტერიუმებისთვის დადგენილი ქულები და შეფასების სხვა დეტალები დამატებით გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკის სილაბუსით.

დასაქმების სფერო

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს განათლების სფეროს სამი მიმართულებით - ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციაში, ადმინისტრაციული იერარქიის ნებისმიერ საფეხურზე როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სტრუქტურებში, განათლების საკითხებზე მომუშავე სამთავრობო თუ არა-სამთავრობო ორგანიზაციებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, განათლების რესურს ცენტრებში, განათლების საკითხებზე მომუშავე საკონსულტაციო კომპანიებში, სასწავლო ცენტრებში.

სწავლების პერიოდში მიღებული ცოდნა კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დაიკავოს საშუალო ან ზედა რგოლის მენეჯერის პოზიცია და განახორციელოს საორგნიზაციო-მმართველობითი, ადმინისტრაციული, საინფორმაციო-ანალიტიკური, სამეცნიერო კვლევითი, საექსპერტო-საკონსულტაციო საქმიანობა.

შენიშვნა: *სამაგისტრო პროგრამის დანართები წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი:

ხატია ცირამუა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ნინო ღაჭავა